ვაუჩერ N336
12.09.2018წ.

# ხელშეკრულება №24

## გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ზვარე 30 აგვისტო, 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატო შათირიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ალექსანდრე ჯოჯიშვილი" (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.3

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია *საოფისე ავეჯის (CPV:39100000*) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს *3990 (სამიათასცხრაასოთხმოცდაათი)* ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, 10 სექტემბრის ჩათვლით მისამართზე: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზვარე.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

## მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

## მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

## მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა<br>ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზვარე<br>ს/ს ლიბერთი ბანკი<br>ა/ა GE29LB0124137454531000<br>ს/კ: 243572709<br>ტ: 577 671 463 | ი/მ „ალექსანდრე ჯოჯიშვილი“<br>ს/ს „ლიბერთი ბანკი“,<br>კოდი: LBRTGE22<br>ა/ა GE04LB0112138168578000<br>ს/კ: 57001007384<br>ტ: 599 538 922 |
| დირექტორი - ნატო შათირიშვილი<br>ნ. შათირიშვილი<br>(ხელმოწერა)<br>ბ.ა | ი/მ „ალექსანდრე ჯოჯიშვილი“<br>ბ.ა<br>(ხელმოწერა) |

დანართი #1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

| # | დასახელება | ცალი | ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|
| *1* | *კარადა (პატარა)* | *2* | *250* | *500* |
| *2* | *სკამი (საოფისე)* | *6* | *40* | *240* |
| *3* | *მაგიდა ჯგუფური (ადაპტირებული)* | *1* | *250* | *250* |
| *4* | *მაგიდა სამუშაო (დიდი)* | *1* | *240* | *240* |
| *5* | *მაგიდა მისადგმელი (პატარა)* | *1* | *100* | *100* |
| *6* | *კარადა (მინებით)* | *2* | *300* | *600* |
| *7* | *კარადა (დიდი)* | *2* | *350* | *700* |
| *8* | *პუფი (დასაჯდომი)* | *4* | *35* | *140* |
| *9* | *პუფი (ჩასაჯდომი)* | *2* | *60* | *120* |
| *10* | *დივანი (დიდი)* | *1* | *400* | *400* |
| *5* | *დივანი (პატარა)* | *2* | *350* | *700* |
| სულ | | | | 3990 |

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა

დირექტორი ნ. შათირიშვილი ნატო შათირიშვილი

ი/მ ა. ჯოჯიშვილი ალექსანდრე ჯოჯიშვილი

მიღება ჩაბარების აქტი

ზვარე 10 სექტემბერი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერი ერთის მხრივ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლის დირექტორი ნატო შათირიშვილი (პირველი მხარე) და მეორეს მხრივ ი/მ „ალექსანდრე ჯოჯიშვილი“ (მეორე მხარე) ვადასტურებთ რომ მეორე მხარემ პირველს დაუმზადა კარადა (პატარა) 2 ცალი თანხით 250 ლარი სულ 500 ლარი, კარადა (მინებით) 2 ცალი თანხით 300 ლარი სულ 600 ლარი, კარადა (დიდი) 2 ცალი თანხით 350 ლარი სულ 700 ლარი, მაგიდა სამუშაო (დიდი) 1 ცალი თანხით 240 ლარი, მაგიდა მისადგმელი (პატარა) 1 ცალი თანხით 100 ლარი, მაგიდა ჯგუფური (ადაპტირებული) 1 ცალი თანხით 250 ლარი და მიყიდა სკამი (საოფისე) 6 ცალი თანხით 40 ლარი სულ 240 ლარი, პუფი (ჩასაჯდომი) 2 ცალი თანხით 60 ლარი სულ 120 ლარი, პუფი (დასაჯდომი) 4 ცალი თანხით 35 ლარი სულ 140 ლარი, დივანი (დიდი) 1 ცალი თანხით 400 ლარი და დივანი (პატარა) 2 ცალი თანხით 350 ლარი სულ 700 ლარი.

საერთო ღირებულება შეადგენს *3990 (სამიათასცხრაასოთხმოცდაათი)* ლარს.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელის მოწერით.

დირექტორი ნატო შათირიშვილი

ი/მ ალექსანდრე ჯოჯიშვილი

ინვოისი

29 აგვისტო, 2018 წელი

| | |
|---|---|
| მიმღების ბანკი: | ს/ს "ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი: | LBRTGE22 |
| მიმღების დასახელება: | ი/მ "ალექსანდრე ჯოჯიშვილი" |
| მიმღების ანგარიშის # | GE04LB0112138168578000 |
| მიმღების ს/კოდი: | 57001007384 |
| მიმღების მობილური: | 599 538 922 |

| # | დასახელება | ცალი | ფასი | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | კარადა (პატარა) | 2 | 250 | 500 |
| 2 | კარადა (მინებით) | 2 | 300 | 600 |
| 3 | კარადა (დიდი) | 2 | 350 | 700 |
| 4 | მაგიდა სამუშაო (დიდი) | 1 | 240 | 240 |
| 5 | მაგიდა მისადგმელი (პატარა) | 1 | 100 | 100 |
| 6 | მაგიდა ჯგუფური (ადაპტირებული) | 1 | 250 | 250 |
| 7 | დივანი (პატარა) | 2 | 350 | 700 |
| 8 | დივანი (დიდი) | 1 | 400 | 400 |
| 9 | პუფი (ჩასაჯდომი) | 2 | 60 | 120 |
| 10 | პუფი (დასაჯდომი) | 4 | 35 | 140 |
| 11 | სკამი (საოფისე) | 6 | 40 | 240 |
| | სულ | 24 | 2375 | 3990 |

ი/მ "ალექსანდრე ჯოჯიშვილი"

ი/მ ალექსანდრე ჯოჯიშვილი * 57001007384 * IIE ALEKSANDRE JOJISHVILI *

# ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ხარაგაული. სოფელი ზვარე

30 -აგვისტო 2018 წ.

,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ სსიპ -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლასა და ინდ. მეწარმე „ალექსანდრე ჯოჯიშვილი“-ს

შორის გაფორმებული -№24----- ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისას არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობაზე

პასუხისმგებელი პირი ნ. შათირიშვილი

/ნატო შათირიშვილი/